

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/48 "24" აგვისტო 2012 წ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების  
მქონე სტუდენტთა მომსახურების წესი

თბილისი  
2012წ.

# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა

## მომსახურების წესი

### მუხლი 1.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამის ადაპტირებულ გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს უნარშეზღუდული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

### მუხლი 2.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურება ხორციელდება წინამდებარე წესის და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

### მუხლი 3.

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შენობაში შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობას:

ა. უნივერსიტეტის შენობის შესასვლელში არსებობს უნარშეზღუდული პირების გადაადგილებისათვის განკუთვნილი სავარძლისთვის სპეციალური ასასვლელი;

ბ. უნივერსიტეტის აუდიტორიების შესასვლელი კარები მოწყობილია ისე, რომ უნარშეზღუდულმა სტუდენტმა დახმარების გარეშე შეძლოს სავარძლით გადაადგილება;

გ. უნივერსიტეტის შენობის მეორე და მესამე სართულზე არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები;

დ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შექმნილია ყველა დანარჩენი სტუდენტის მსგავსად ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული კლასით სარგებლობის საშუალება;

ე. უნივერსიტეტის შენობაში თვალსაჩინოდ გამოკრულია უნარშეზღუდული პირების გადაადგილების აღმნიშვნელი ნიშნები (მაჩვენებლები), რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირებს შეუძლიათ დახმარების გარეშე დაადგინონ გადაადგილების მარშუტი და გადაადგილდნენ სასურველი მიმართულებით;

2. უნივერსიტეტის დაცვის სამსახური ვალდებულია უნარშეზღუდულ სტუდენტებს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას უნივერსიტეტის შენობაში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშული პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულის შესახებ დაცვის ნებისმიერ თანამშრომელს.

#### **მუხლი 4.**

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს, რომ ყველა სტუდენტისთვის თანაბარი გარემო შექმნას, რათა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღების შესაძლებლობა. ამისათვის ითვალისწინებს ყველა იმ სიახლეს, რაც რეკომენდირებულია სახელმწიფოსა და სხვადასხვა ქართული თუ უცხოური ორგანიზაციების მხრიდან.

#### **მუხლი 5.**

1. ზემოთაღნიშნული წესი მოქმედებს უნივერსიტეტის მთელს ტერიტორიაზე და მისი დამრღვევი პირი პასუხს აგებს უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.
2. ზემოთაღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.